„ღია საზოგადოების ფონდი“

თბილისი, 2018 წლის ივნისი

საქართველოში ბავშვებისათვის მართლმსაჯულებაზე წვდომის გაუმჯობესების საჭიროება

წარმოდგენილი პოლიტიკის დოკუმენტი მოიცავს პერიოდს 2017 წლის დეკემბრიდან 2018 წლის ივნისამდე.

ავტორი:
ანა არგანაშვილი*
„პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ სახელით

რეცენზენტი:
პროფ. ტობიას შუმახერი

თარგმანი:
ანა გეგეჭკორი

დოკუმენტი მომზადებულია „ღია საზოგადოების ფონდის“ შიდა პროექტის „ევროკავშირი-საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მონიტორინგი საზოგადოებრივი ორგანიზაციების კოალიციის მიერ“.

ტექსტისა და კომენტარების ავტორის მიერ გამოხატული შეხედულებები, მოსაზრებები და განცხადებები მხოლოდ მას ეკუთვნის და არ გამოხატავს ფონდის მოსაზრებას. შესაბამისად, ფონდი მასალის შინაარსზე პასუხს არ აგებს.

შესავალი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კომიტეტის განცხადებით, „სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალებების არსებობის გარეშე უფლებები მნიშვნელობას დაკარგავდა. ბავშვების განსაკუთრებული და დამოკიდებული მდგომარეობა ართულებს უფლებების დარღვევის შემთხვევაში სამართლებრივი დაცვის საშუალებების გამოყენებას. შესაბამისად, სახელმწიფოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ ბავშვებისთვის და მათი წარმომადგენლებისთვის ეფექტიანი და ბავშვების მიმართ მგრძნობიარე პროცედურების ხელმისაწვდომობის საკითხს.“[1]

2018 წლის მარტში ქვეყნის ანტიდისკრიმინაციულმა მექანიზმმა (საქართველოს სახალხო დამცველმა) საქართველოს მთავრობას და პარლამენტს მისცა რეკომენდაცია, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ „საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ნეიტრალური წესი, რომელიც ყველას თანაბრად აძლევს შესაძლებლობას, მიმართოს სასამართლოს, ზოგ შემთხვევაში გამორიცხავს ბავშვებს.“[2] ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების[3] შეფასებები გარკვევით მიუთითებს, რომ საქართველოში მართლმსაჯულებაზე ბავშვების წვდომა შეზღუდულია, განსაკუთრებით ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის საკითხებში.

*ანა არგანაშვილი ორგანიზაციის „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის“ აღმასრულებელი მენეჯერია. ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხები შრომით თერაპიაში მან ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო, ხოლო მაგისტრის ხარისხი სამართალში - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტში განხილულია ქვეყანაში ბავშვებისათვის მართლმსაჯულებაზე წვდომის ასპექტები. დოკუმენტი ყურადღებას ამახვილებს იმ ბარიერებზე, რომლებიც საქართველოში ბავშვებს სასამართლოში წარმომადგენლობის დროს, იურიდიული დახმარებისა და, და სამართლიანი მართლმსაჯულების მიღებისას ხვდებათ. პოლიტიკის დოკუმენტი ასევე საგანგებოდ აღნიშნავს ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების საფუძველზე ნაკისრ ვალდებულებებს და გვთავაზობს ამ მიმართულებით წარმატების მისაღწევ გზებს.

ასოცირების შესახებ შეთანხმების[4] ნაწილში „მიზნები" (მუხლი 1, პუნქტი "f") ნათქვამია: „ერთის მხრივ, ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს და, მეორეს მხრივ, საქართველოს შორის მყარდება ასოცირება. აღნიშნული ასოცირების მიზნებია: [...] გააძლიეროს თანამშრომლობა თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სფეროში, რომლის მიზანია კანონის უზენაესობის განმტკიცება და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემა."

შეთანხმების მე-13 მუხლი ადგენს: „(2) მხარეები სრულად ითანამშრომლებენ სამართალდამცავ და მართლმსაჯულების მართვის სფეროებში მოქმედი ინსტიტუტების ეფექტიან ფუნქციონირებასთან დაკავშირებით; (3) ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემა საფუძვლად დაედება თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სფეროში თანამშრომლობას."

გარდა მართლმსაჯულების აღსრულებასთან დაკავშირებული ზოგადი დებულებებისა, რომლებიც მოითხოვს ყველა ადამიანისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას, ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების ახალ, 2017-2020 წლების, დღის წესრიგში გათვალისწინებული მიზანია ბავშვებისთვის მართლმსაჯულებაზე წვდომის უზრუნველყოფა,[5] მათ შორის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის გაგრძელება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა – ბავშვებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის პროგრესული ნაწილი

ბოლო დროს მიღებული საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე პროგრესულ კანონად რეგიონში, რომელიც უზრუნველყოფს კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების უფლებების დაცვას და სრულად შეესაბამება გაერო-ს ბავშვის უფლებათა კონვენციის სტანდარტებს. კოდექსში შესულია ბავშვის საუკეთესო ინტერესის სამართლებრივი სტანდარტი; იგი უზრუნველყოფს უფასო იურიდიულ დახმარებას არასრულწლოვანი ბრალდებული და მსჯავრდებული, დანაშაულის მსხვერპლი ბავშვებისათვის (მიუხედავად იმისა, განეკუთვნებიან თუ არა ისინი გადახდისუუნარო მოსახლეობას); საგანგებო ყურადღება აქვს დათმობილი კონფიდენ-

[1] გაერო-ს ბავშვის უფლებათა კომიტეტი (2003). ზოგადი კომენტარი №5, „ზოგადი ღონისძიებები ბავშვის უფლებათა კონვენციის განსახორციელებლად" (მუხლები 4, 42 და 44, პუნქტი 6) (2013). გვ. 7. იხ. შემდეგ მისამართზე (ბოლო ნახვა: 07.04.2018): https://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/TBSearch.aspx?Lang=en&TreatyID=5&DocTypeID=11 (ინგლისურად)

[2] საქართველოს სახალხო დამცველი, რეკომენდაცია ასაკის ნიშნით ირიბი დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ირაკლი კობახიძესა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს გიორგი კვირიკაშვილს (2016). გვ. 20. იხ. შემდეგ მისამართზე (ბოლო ნახვა: 07.04.2018): http://ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/rekomendaciebi/saqartvelos-saxalxo-damcvelma-bavshvebis-sasamartlosadmi-xelmisawvdomobis-maregulirebeli-kanonmdebloba-diskriminaciulad-miichnia.page

[3] ბავშვის უფლებათა საერთაშორისო ქსელი (CRIN), „ბავშვებისათვის მართლმსაჯულების მისაწვდომობა: საქართველო" (2016). გვ. 3. იხ. შემდეგ მისამართზე (ბოლო ნახვა: 07.04.2018): https://www.crin.org/en/library/publications/georgia-access-justice-children (ინგლისურად)

[4] ასოცირების შესახებ შეთანხმება ევროკავშირსა და საქართველოს შორის; იხ. შემდეგ მისამართზე (ბოლო ნახვა: 07.04.2018): https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959

ციალურობისა და ბავშვების პირადი ცხოვრების საკითხებს; კოდექსი არეგულირებს პრევენციის მიზნით მონაცემთა შეგროვების საკითხის სენსიტიურობას; მოუწოდებს შესაბამის დაინტერესებულ მხარეებს, შექმნან მტკიცებულებებსა და ფაქტებზე დამყარებული პოლიტიკა; და ყურადღებას ამახვილებს ბავშვთა რესოციალიზაციის როლსა და ტრადიციული სანქციების ალტერნატიულ ზომებზე.

მაგრამ ბავშვებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით სისხლის სამართალში მიღწეული პროგრესი არ არის ასახული სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში: აქ ბავშვები კვლავ განიცდიან ასაკის საფუძველზე დისკრიმინაციას. ამ საკითხს უფრო დაწვრილებით ქვემოთ განვიხილავთ.

ბავშვთა უფლება, მიიღონ ინფორმაცია

ევროპის საბჭოს რეგულაციებისა და გაერო-ს ბავშვის უფლებათა კონვენციის მიხედვით, მართლმსაჯულების პროცესში ჩართვის პირველივე ეტაპიდან და მთელი პროცესის განმავლობაში ყველა ბავშვი სრულად ინფორმირებული უნდა იყოს, სხვა საკითხებთან ერთად, საკუთარი უფლებებისა და იმ მექანიზმების შესახებ, რომლებითაც მათ შეუძლიათ ისარგებლონ საკუთარი უფლებების პრაქტიკულად განსახორციელებლად ან, საჭიროების შემთხვევებში, საკუთარი თავის დასაცავად.[6]

1994 წელს ბავშვის უფლებათა კონვენციის რატიფიცირების შემდეგ საქართველოს ხელისუფლებას არ ჩაუტარებია ბავშვებისათვის მისაწვდომი და მეგობრული, ფართო საინფორმაციო კამპანია სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროებში ბავშვებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ აკისრებს ზრდასრულ ადამიანებს ვალდებულებას, მიაწოდონ ბავშვებს ინფორმაცია სასამართლო საქმისწარმოებისას მათი უფლებების შესახებ. საქართველოს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ (მე-10 მუხლი) ავალდებულებს სკოლების ადმინისტრაციებს, მოახდინონ ბავშვთა ინფორმირება მათი უფლებების შესახებ და უზრუნველყონ საჩივრების წარდგენის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მექანიზმები.

მაგრამ საჩივრების წარდგენის პროცედურებთან დაკავშირებული ნორმები ზოგადია; ისინი არ მოიცავს კონკრეტულ ინფორმაციას და არ ითვალისწინებს მოსწავლეებისთვის კონსულტაციის და მხარდაჭერის სერვისს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა გამოიყენონ საჩივრების წარდგენის არსებული პროცედურები.[7]

[5] ასოცირების დღის წესრიგი ევროკავშირსა და საქართველოს შორის, 2017-2020, გვ. 21. იხ. შემდეგ მისამართზე (ბოლო ნახვა: 07.04.2018): https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/annex_ii_-_eu-georgia_association_agenda_text.pdf (ინგლისურად)

[6] ევროკომისია, „ბავშვთა ჩართვა სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ევროკავშირის 28 წევრ სახელმწიფოში“, პოლიტიკის დოკუმენტი, 2015 წლის ივნისი. გვ. 9. იხ. შემდეგ მისამართზე (ბოლო ნახვა: 07.04.2018): https://publications.europa.eu/en/publication-detail/-/publication/c3cd307f-ff03-4010-b322-dcf7063403c5

[7] „იუნისეფი“, ევროკავშირისა და გაერო-ს განვითარების პროგრამის ერთობლივი პროექტის „საქართველოში ხელმისაწვდომი მართლმსაჯულებისა და ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარების ხელშეწყობა“ (2017), ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება, კანონმდებლობის ანალიზი (Child Friendly Justice, Legal Review), გვ. 33

ბავშვის უფლება, მოუსმინონ და გაითვალისწინონ მისი აზრი

გაერო-ს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-12 მუხლში ნათქვამია: „ბავშვს ეძლევა შესაძლებლობა, მოსმენილი იქნეს სასამართლო თუ ადმინისტრაციული წესით ნებისმიერი საქმის განხილვისას, რომელიც ბავშვს ეხება, უშუალოდ ან წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მეშვეობით იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობის პროცესუალური ნორმებით.“[8] როგორც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსშია დადგენილი,[9] ფიზიკურ პირთა სრული საპროცესო ქმედუნარიანობა[10] წარმოიშობა 18 წლის ასაკიდან. 18 წლამდე ბავშვების უფლებებსა და ინტერესებს მათი მშობლები, მშვილებლები ან სხვა იურიდიული წარმომადგენლები იცავენ. კანონის მიხედვით, სასამართლომ უნდა ჩართოს ბავშვები იმ საქმეებში, რომელიც საჭიროებს მათი აზრის მოსმენას...

მაგრამ, როგორც საქმეზე „ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს ცოტა ხნის წინ მიღებული გადაწყვეტილებაშია აღნიშნული, სახელმწიფოს მიერ ირღვევა ბავშვთა უფლება, მოუსმინონ.[11] კერძოდ, ადამიანის უფლებების ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნულ საქმეში სასამართლოს არცერთ ინსტანციაში არ მომხდარა ბავშვების მოსაზრებების უშუალო მოსმენა, რამაც მნიშვნელოვნად დაარღვია პროცედურული სამართლიანობა და მნიშვნელოვნად უარყოფითი ზეგავლენა იქონია ბავშვების ემოციურ მდგომარეობაზე.

ბავშვთა უფლება იურიდიულ დახმარებასა და წარმომადგენლობაზე

ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, დაცული უნდა იყოს ყველა ბავშვის უფლება, ჰქონდეს ინფორმაცია საკუთარი უფლებების შესახებ და წვდომა მართლმსაჯულებაზე. ამასთან, უნდა მოხდეს ბავშვების კონსულტირება და მოსმენა ისეთი საქმეების განხილვისას, რომლებიც მათ ეხებათ. ბავშვებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ უფასო იურიდიულ დახმარებაზე იმავე ან უფრო ხელმისაწვდომი პირობებით, ვიდრე ზრდასრულ ადამიანებს.[12]

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი[13] 14 წლის ასაკზე უფროს ყველა ბავშვს აძლევს უფლებას, მიმართოს სასამართლოს და წამოიწყოს სამოქალაქო საქმის წარმოება. თუმცა აღნიშნულ ასაკამდე ბავშვებს სასამართლოში მხოლოდ მშობლები და კანონიერი მეურვეები წარმოადგენენ. ქვეყნის ანტიდისკრიმინაციულმა მექანიზმმა (საქართველოს სახალხო დამცველმა) ეს ნორმა ბავშვებისათვის დისკრიმინაციულად მიიჩნია.[14] როგორც რეკომენდაციაშია აღნიშნული, კანონი 14 წლამდე და 14 წელზე უფროსი ასაკის ბავშვებს განსხვავებულად ეპყრობა და ამგვარი განსხვავება მოპყრობაში გაუმართლებელია. რეკომენდაციის თანახმად, კანონმდებელი მიზნად ისახავდა 14 წლამდე ბავშვებისათვის სასამართლოზე წვდომის უფლების დაცვას ბავშვის წარმომადგენლობის უფლების მშობლებისთვის გადაცემით. მაგრამ ამგვარი მიდგომა პრაქტიკაში რიგ გამოწვევებს

[8] გაერო-ს ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 12 (2).

[9] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 81.

[10] საპროცესო ქმედუნარიანობა – პირის იურიდიული უნარი, საკუთარი სახელით დადოს მავალდებულებელი კონტრაქტები, აღძრას საქმე სხვის მიმართ და მის მიმართაც აღიძრას საქმე“ (ლექსიკონი „Black's Law“, მე-2 გამოცემა).

[11] ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო (2016), #71776/12, პუნქტი 84.

[12] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, „ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო პრინციპები ბავშვზე მორგებულ მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით“, 2010, გვ. 17. იხ. შემდეგ მისამართზე (ბოლო ნახვა: 07.04.2018): https://rm.coe.int/16804b-2cf3 (ინგლისურად)

[13] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მუხლი 811.

[14] საქართველოს სახალხო დამცველი, რეკომენდაცია ასაკის ნიშნით ირიბი დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ირაკლი კობახიძესა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს გიორგი კვირიკაშვილს (2016). გვ. 20. იხ. შემდეგ მისამართზე (ბოლო ნახვა: 07.04.2018): http://ombudsman.ge/ge/recommendations-Proposal/rekomendaciebi/saqartvelos-saxalxo-damcvelma-bavshvebis-sasamartlosadmi-xelmisawvdomobis-maregulirebeli-kanonmdebloba-diskriminaciulad-miichnia.page

წარმოქმნის: როდესაც მშობლები უგულებელყოფენ ბავშვების საჭიროებას – მოხდეს მათი უფლებების დაცვა სასამართლო მექანიზმებით, და/ან როდესაც მშობლები თავად არღვევენ საკუთარი შვილების უფლებებს, ბავშვებისთვის დე ფაქტო სასამართლო ხელმიუწვდომელი ხდება. როდესაც მშობლები არღვევენ საკუთარი შვილების უფლებებს, ბავშვთა დაცვის სამსახურები (სოციალური მომსახურების სააგენტო) ვალდებულნი არიან, მშობლების წინააღმდეგ მიიღონ ზომები მათი შვილების უფლებების დარღვევისთვის, თუმცა პრაქტიკაში ეს იშვიათად ხდება. ხშირად სოციალური მომსახურების სააგენტოს არაეფექტური მუშაობის, ასევე საქმეების ზედაპირულად შესწავლის გამოა, რომ სასამართლოში მცირე რაოდენობის სარჩელები შედის – ეს ის სიტუაციაა, რომელიც ძირს უთხრის არსებულ კანონმდებლობას და შესაბამის პრაქტიკას.

რაც შეეხება 14 წელზე უფროს ბავშვებს, როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აძლევს მათ უფლებას, მიმართონ სასამართლოს. თუმცა როდესაც ხდება სარჩელის ოფიციალურად შეტანა, სასამართლო მხოლოდ ამ ეტაპზე ნიშნავს ბავშვის საპროცესო წარმომადგენელს. შედეგად ბავშვი მოკლებულია შესაძლებლობას, ისარგებლოს იურიდიული დახმარებით საჩივრის მომზადებისა და დასაბუთების პროცესში, ასევე მოკლებულია უფლებას, გააკეთოს თავისუფალი არჩევანი იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ წარმოადგენს მას სასამართლოს წინაშე.

ინტერესთა კონფლიქტი

ბავშვზე მორგებულ მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ბავშვებს უნდა ჰქონდეთ უფლება, ჰყავდეთ საკუთარი ადვოკატი და უფლება, წარმოდგენილნი იყვნენ, მათი სახელით, სამართალწარმოებაში, როდესაც არსებობს ან შეიძლება არსებობდეს ინტერესთა კონფლიქტი ბავშვსა და მშობლებს ან სხვა ჩართულ მხარეებს შორის.[15]

ბავშვებისთვის მართლმსაჯულებაზე წვდომის უფლების ერთ-ერთ ყველაზე მძიმე დარღვევას ადგილი აქვს იმ საქმეებში, რომლებიც ეხება სახელმწიფოს ზრუნვის ქვეშ მყოფ ბავშვებს. მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს იურიდიულად სახელმწიფო წარმოადგენს, კერძოდ კი სოციალური მომსახურების სააგენტო. ამგვარ შემთხვევებში, როდესაც ბავშვი ჩივის სოციალური მუშაკის არასათანადო საქციელის შესახებ და იურიდიული დახმარებისათვის მიმართავს ადამიანის უფლებების დამცველ ორგანიზაციებს ან დამოუკიდებელ იურისტს, სოციალური მომსახურების სააგენტოს აქვს ექსკლუზიური უფლება, უარი თქვას ან დათანხმდეს მესამე მხარის მიერ ბავშვის წარმოდგენაზე. შედეგად, სოციალური მომსახურების სააგენტოს აქვს უფლება, იმოქმედოს იმ ბავშვის სახელით, რომელმაც იმავე სააგენტოს ბრალი დასდო მისი უფლებების დარღვევაში. ეს ინტერესთა კონფლიქტის აშკარა შემთხვევაა. მ. ტ.-ს ბოლოდროინდელ საქმეში, როდესაც 13 წლის ბავშვმა მიმართა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციას იურიდიული დახმარებისთვის, სოციალური მომსახურების სააგენტომ არამარტო უარი თქვა თხოვნაზე, არამედ ბავშვსა და არასამთავრობო ორგანიზაციის იურისტებს შორის ნებისმიერი კომუნიკაციაც

[15] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, „ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო პრინციპები ბავშვზე მორგებულ მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით“, 2010, გვ. 7. იხ. შემდეგ მისამართზე (ბოლო ნახვა: 07.04.2018): https://rm.coe.int/16804b-2cf3 (ინგლისურად)

კი აკრძალა. არ არის გასაკვირი, რომ არასამთავრობო ორგანიზაციამ გაიგრძელა საქმის წარმოება და იგი ამჟამად იხილება საერთო სასამართლოს მიერ.[16] ამგვარი დისკრიმინაციული პრაქტიკა და სასამართლოს დადგენილება გასაჩივრებულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.

ფსიქიატრიულ დაწესებულებაში იძულებით მოთავსებისა და მკურნალობის გადასინჯვა სასამართლოს მიერ

„ფსიქიატრიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონი ადგენს, რომ თუ ბავშვის ასაკი არ აღემატება 16 წელს, მას არა აქვს უფლება, გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება მისი არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული მკურნალობის და ჰოსპიტალიზაციის და ელექტროშოკური თერაპიის ან ფიზიკური და ქიმიური შეზღუდვის გამოყენების შესახებ, თუკი გადაწყვეტილება მისი მშობლის და/ან კანონიერი წარმომადგენლის მიერ არის მიღებული.[17] კანონი გულისხმობს ბავშვის შეხედულების გათვალისწინებას გადაწყვეტილების მიღებისას, მაგრამ შესაბამისი დებულებები საკმაოდ ბუნდოვანია. ამგვარი რეგულირების შედეგად ბავშვებს არ აქვთ მართლმსაჯულებაზე სხვებთან თანასწორი წვდომა – ფსიქიატრიულ დაწესებულებაში არანებაყოფლობით მოთავსებისა და მკურნალობის სასამართლოს მიერ გადასინჯვის თვალსაზრისით – ამგვარი სიტუაციის გამო ადგილობრივმა უფლებადამცველმა არასამთავრობო ორგანიზაციამ გაასაჩივრა კანონის დებულებები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში.

რეკომენდაციები

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლობის შეზღუდვა, 14 წლამდე ბავშვებისათვის სასამართლოების ხელმიუწვდომელობა, ბავშვებისთვის იურიდიული მრჩევლის მომსახურებაზე შეზღუდული წვდომა და სოციალური მომსახურების სააგენტოსთან ინტერესთა აშკარა კონფლიქტი ერთობლივად წარმოადგენს საქართველოში ბავშვის ფუნდამენტური უფლების – მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის – მნიშვნელოვან დარღვევას.

არსებული დისკრიმინაციული კანონმდებლობისა და პრაქტიკის გასაუმჯობესებლად, რომლებიც ბავშვებს ართმევს მათ კანონიერ უფლებას, ხელი მიუწვდებოდეთ მართლმსაჯულებაზე, უნდა განხორციელდეს შემდეგი ზომები (ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და გაერო-ს ბავშვის უფლებათა კონვენციის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში):

- საქართველოს პარლამენტმა უნდა მოახდინოს საკანონმდებლო პაკეტის ინიცირება, რომლითაც მოხდება იმ კანონების გადასინჯვა, რომლებიც ზღუდავს ბავშვებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას, და მისცემს მათ უფლებას, მიიღონ იურიდიული დახმარება ყოველგვარი ასაკობრივი ზღვრის გარეშე;

[16] თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე № 3/1897-16.

[17] საქართველოს კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ", მუხლი 8.

- საქართველოს მთავრობამ უნდა ჩაატაროს ფართომასშტაბიანი საინ-ფორმაციო კამპანია ბავშვებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვ-დომობასთან დაკავშირებით;

- ხელი უნდა შეეწყოს ბავშვთა უფლებას მოუსმინონ და ეს უფლება ყო-ველგვარი დაბრკოლების გარეშე უნდა იქნეს რეალიზებული ყველანა-ირ გარემოში – მათ შორის სკოლებში, საბავშვო ბაღებში, სასამართ-ლოებსა და სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებში;

- რეგულარულად უნდა ხდებოდეს ბავშვების უფლების, ხელი მიუწვდე-ბოდეთ საჩივრების წარდგენის პროცედურაზე, მონიტორინგი და გა-უმჯობესება პოტენციური რისკების აღმოსაფხვრელად.